

ტესტის სახელწოდება

ტოქსოპლაზმა გონდის საწინააღმდეგო ანტისხეულები IgG, IgM

ალტერნატიული დასახელება

ტოქსოპლაზმა გონდი

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

ტოქსოპლაზმოზი ფართოდ გავრცელებული ინფექციური დაავადებაა, რომლის გამომწვევია პარაზიტი *Toxoplasma gondii*. პარაზიტის საბოლოო მასპინძელს წარმოადგენენ გარეული და შინაური კატები. კატები ინფიცირდებიან დაავადებული ფრინველების, მღრღნელების ან უმი ხორცის საკვებად გამოყენებისას. ინფიცირებული კატა დაავადების გამომწვევს - *T. gondii*-ს გამოყოფს ფეკალიებთან ერთად მიკროსკოპული ოოცისტის სახით. ოოცისტები საკვებად გამოყენების შემდეგ მალევე გარდაიქმნიებიან ტაქიზოიტებად. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას პარაზიტი ქმნის ქსოვილოვან ცისტებს - ბრადიზოიტებს, განსაკუთრებით ჩონჩხის კუნთებში, მიოკარდიუმში, თავის ტვინსა და თვალბუდეში. ცისტები შეიძლება დარჩეს ორგანიზმში მთელი ცხოვრების მანძილზე, იმუნოდეფიციტური მდგომარეობების განვითარებამდე.

ადამიანებში ინფექციის გავრცელება ხდება სხვადასხვა გზებით:

- ✓ დაუმუშავებელი და დაავადებული ხორცის საკვებად გამოყენება
- ✓ კატების ფეკალიებით დაბინძურებული წყლის ან არაპასტერიზებული რძის მიღებით;
- ✓ დასნებოვნებული კატის ნარჩენების მოვლისას
- ✓ სისხლის გადასხმის ან ორგანოთა ტრანსპლანტაციის დროს
- ✓ ტრანსპლაცენტური გზით - დედიდან ნაყოფზე

ჯანმრთელი ადამიანების უმრავლესობაში ინფექცია უსიმპტომოდ მიმდინარეობს ან ვლინდება გრიპის მსგავსი მსუბუქი სიმპტომებით (მტკივნეული ლიმფური კვანძები, კუნთების ტკივილი და ა.შ), რომელიც გრძელდება რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე, შემდეგ კი ქრება, თუმცა პარაზიტი ორგანიზმში რჩება არააქტიურ (ლატენტურ) მდგომარეობაში. იგი შეიძლება გააქტიურდეს იმუნური სისტემის დაქვეითებისას.

ორსულობის დროს ინფიცირებისას, 30-40% შემთხვევებში ნაყოფის ინფიცირებაც ხდება. ორსულობის ადრეულ ეტაპზე ინფიცირებამ შეიძლება გამოიწვიოს ნაადრევი მშობიარობა, მკვდრადშობადობა ან ახალშობილებში სხვადასხვა მძიმე გართულებები, როგორებიცაა გონებრივი ჩამორჩენილობა, კრუნჩხვები, სიბრმავე, გადიდებული ღვიძლი ან ელენთა. ორსულობის გვიან პერიოდში ინფიცირებისას, ახალშობილი თითქოს ჯანმრთელი იზადება, თუმცა წლების შემდეგ გამოვლინდება სხვადასხვა დარღვევები - სმენის დაქვეითება/სიყრუე, თვალის მძიმე ინფექციები, გონებრივი ჩამორჩენილობა.

დაქვეითებული იმუნური სისტემის მქონე პირებში (აივ ინფიცირებულები, ქიმიოთერაპიის მკურნალობის პერიოდი, ახლად ჩატარებული ორგანოთა ტრანსპლანტაცია, იმუნოსუპრესიული მკურნალობა) პირველადი ან რეციდიული ტოქსოპლაზმოზი იწვევს მნიშვნელოვან გართულებებს, რომლებიც ვლინდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით, თავის ტკივილებით, ცხელებით, ენცეფალიტებით, კოორდინაციის დარღვევით და მხედველობის დაზიანებით.

რატომ ტარდება ანალიზი?

ანალიზი ტარდება ტოქსოპლაზმოზის გამოსავლენად ორსულებში, ნაყოფში, ასევე დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პირებში - გრიპის მსგავსი სიმპტომების არსებობისას და პირებში, რომელთაც აქვთ ტოქსოპლაზმოზის მსგავსი სიმპტომები: შესიებული ლიმფური კვანძები, ცხელება, დამე ოფლიანობა, სისუსტე, დაღლილობა, თავის ტკივილი, ხანდახან ყელის ტკივილი.

როგორ ტარდება ანალიზი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენური სისხლი.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის?

ანალიზი არ საჭიროებს სპეციფიურ მომზადებას.

შედგების ინტერპრეტაცია :

ადამიანის იმუნური სისტემა *T. gondii* საპასუხოდ გამოიმუშავებს 2 კლასის ანტისხეულებს: **IgM და IgG**. თავდაპირველად გამოიმუშავდება IgM ანტისხეულები. უმრავლეს შემთხვევებში, სისხლში მათი აღმოჩენა ინფიცირებიდან 1-2 კვირის შემდეგ უკვე შესაძლებელია. მათი პროდუქცია მატულობს მცირე დროით, შემდეგ კი მცირდება (თუმცა მათი აღმოჩენა ინფიცირებიდან 18 თვის განმავლობაში არის შესაძლებელი).

ზოგჯერ, ინფიცირებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, IgM ანტისხეულების დონე (ტიტრი) ზღვარს ქვემოთ ეცემა. დამატებითი IgM ანტისხეულების გამოიმუშავება ასევე ხდება ლატენტური *T. gondii* აქტივაციისას და/ან ქრონიკული ინფექციის დროს.

IgG ანტისხეულების გამოიმუშავება ხდება პირველადი ინფიცირებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ და უზრუნველყოფენ ხანგრძლივ დაცვას. IgG დონე მატულობს ინფექციის მწვავე პერიოდში, შემდეგ კი სტაბილიზდება. ინფიცირების შემდეგ **IgG** ანტისხეულები მცირე რაოდენობით რჩება სისხლში მთელი ცხოვრების მანძილზე, რაც უზრუნველყოფს იმუნიტეტს.

დადებითი IgM - მიუთითებს მწვავე ინფექციის არსებობას

დადებითი IgG - მიუთითებს გადატანილ ინფექციას და იმუნიტეტის არსებობას.

უარყოფითი IgM და IgG - ინფექციის არ არსებობა.

ინფექციის თავიდან აცილება

- ✓ კატის ფეკალიებთან კონტაქტისას გამოიყენონ ხელთათმანი; ყოველდღიურად მოხდეს კატის ყუთების დასუფთავება
- ✓ თუ შესაძლებელია კატები იყოლიონ დახურულ შენობებში, მღრღნელებზე ნადირობისა და დაბინძურებული საკვების მიღების თავიდან აცილების მიზნით
- ✓ ნიადაგთან მუშაობისას ხელთათმანის გამოყენება
- ✓ უმი ან დაუმუშავებელი საკვების მიღებისგან თავის შეკავება
- ✓ საჭრელი დაფების, ან სხვა სამზარეულო აქსესუარების ცხელი საპნიანი წყლით კარგად რეცხვა ჯვარედინი ინფიცირების პროფილაქტიკისთვის
- ✓ არაპასტერიზებული რძის მიღებისგან თავის შეკავება
- ✓ ხილისა და ბოსტნეულის საკვებად გამოყენებამდე, მათი გარეცხვა ან გათლა